Ministry of Internal Affairs of Georgia Patrol Police Department
Digitally signed by Ministry of Internal Affairs of Georgia Patrol Police Department
Date: 2020.06.15 11:18:04 +04'00'

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №99

ქ. თბილისი - 12 - ივნისი 2020 წელი

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მხრიდან ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

**წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის NAT200007695 საფუძველზე.**

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

   1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით, ასევე, მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

   1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

   1.3. „მიმწოდებელი ორგანიზაცია“ (შემდგომ „მიმწოდებელი“) ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

   1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“/„ხელშეკრულების ფასი“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

   1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. **ხელშეკრულების დამდები მხარეები:**

**შემსყიდველი:** შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ს/კ 205041177, საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის ვახტანგ გენგიურის სახით („შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსზე, ვახტანგ გენგიურზე უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 2019 წლის 04 ოქტომბრის №2631508 ბრძანების საფუძველზე).

მისამართი: თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38. ტელ: 241 87 13

საბანკო რეკვიზიტები: ა/ა №GE24NB0330100200165022 „საქართველოს სახ. ხაზინა“, კოდი TRESGE22.

**მიმწოდებელი:** შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“; **ს/კ** 211346220; **ხელმძღვანელი:** ირაკლი გურჩიანი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-20 კმ, ტელ: 220 22 22; ელ. ფოსტა: info@toyota-tbilisi.com;

**საბანკო რეკვიზიტები:** სს „ქართუ ბანკი“, კოდი: CRTUGE22, ა/ა GE50CR0000000019833602.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. „YAMAHA"-ს ფირმის მოტოციკლების, სახმელეთო სკუტერებისა და კვადროციკლის ტექნიკური მომსახურება (CPV - 50110000).

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს **25 000.00 (ოცდახუთი ათასი ლარი 00 თეთრი) ლარს**, ფაქტობრივად გაწეული მომსახურებისა და მოხმარებული დეტალების ღირებულების, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2. გასაწევი მომსახურებების (რიგ პოზიციებზე დეტალების გათვალისწინებით) ერთეულის ღირებულებები პოზიციების მიხედვით მითითებულია დანართ №1-ში.

4.3. გასაწევი მომსახურების ღირებულება აღებულია შესაძლო გასაწევი მომსახურების მიხედვით, ხოლო ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება მის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით, შესაბამისად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის მომენტისათვის ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან გამოუმუშავებელი თანხა დარჩება შემსყიდველთან და იგი არ წარმოშობს მხარეებს შორის რაიმე დამატებით ვალდებულებებს.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად **ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან – 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით** უზრუნველყოს დანართ №1-ში მითითებული „YAMAHA"-ს ფირმის მოტოციკლების, სახმელეთო სკუტერებისა და კვადროციკლის ტექნიკური მომსახურების გაწევა.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია ვალდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე მიანიჭოს პრიორიტეტული უფლება საპატრულო პოლიციის მოტოციკლებს, სახმელეთო სკუტერებსა და კვადროციკლებს, რაც გულისხმობს მათ რიგგარეშე და დაუყოვნებლივ მომსახურებას.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ გამოყოფილ უფლებამოსილი პირთან ერთად დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების სერვისცენტრში შეყვანისთანავე შეადგინოს დეფექტური აქტი, დეფექტურ აქტში მიუთითოს დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების ფირმა, მოდელი, გამოშვების წელი, საიდენტიფიკაციო ნომერი, აღმოჩენილი ხარვეზი, აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრისათვის საჭირო გასაწევი მომსახურებების ჩამონათვალი (შესაცვლელი სათადარიგო ნაწილების გათვალისწინებით) და პრეისკურანტში (დანართი №1) მითითებული ღირებულებების შესაბამისად განახორციელოს აღდგენითი და პროფილაქტიკური მომსახურება დეფექტური აქტის შედგენიდან პრეისკურანტში (დანართი №1) მითითებული ვადების შესაბამისად.

5.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანსა ან ზარალზე.

5.5. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

## 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. გაწეულ მომსახურებაზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეები ადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გაწეული მომსახურების დეტალური აღწერა (საჭიროების შემთხვევაში სათადარიგო ნაწილ(ებ)ის გათვალისწინებით), შესრულებული მომსახურების რაოდენობა, ფასი და საერთო ღირებულება (მომსახურების ფასები გათვალისწინებული უნდა იყოს პრეისკურანტში (დანართი №1) მოცემული ფასების შესაბამისად).

6.2. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე, დეფექტური აქტის შედგენაზე, ასევე, შესყიდვის ობიექტის ხარისხზე შემსყიდველის მხრიდან კონტროლს განახორციელებს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს **ტრანსპორტის მომსახურების განყოფილება**, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების ჩატარებისას.

## 7. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

7.1. გაწეული მომსახურების, ასევე შეკეთებული ან/და გამოცვლილი დეტალების საგარანტიო ვადებთან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრულია დანართი №1-ით.

7.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მომსახურება გაწეულ იქნება ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაციის ველებში მოცემულ პირობების, №1 დანართითა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ამასთან, იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მომსახურება (შესაცვლელი დეტალების გათვალისწინებით) გაწეულ იქნება მაღალი ხარისხით, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს აღნიშნული მომსახურების გაწევის პროცესში და გარანტიის პერიოდში გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრა, დაზიანებული ნაწილის შეკეთება ან შეცვლა ახლით, ასევე, არახარისხოვნად გაწეული მომსახურების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი სხვა ზიანის აღმოფხვრა დანართი №1-ით განსაზღვრული პირობებისა და ვადების შესაბამისად დეფექტური აქტის შედგენიდან 13 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო ნაწილის საზღვარგარეთ შეკვეთის შემთხვევაში დეფექტური აქტის შედგენიდან 28 კალენდარული დღის განმავლობაში.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების უსაფრთხოდ გაწევა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაიცვას ის ძირითადი მოთხოვნები და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპები, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვას. იგი პასუხისმგებელია ამ პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაუცველობით გამოწვეულ შედეგებზე.

7.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის პერიოდში, აგრეთვე საგარანტიო ვადაში მიმწოდებლის მიერ შემსყიდველზე ან/და მესამე პირზე მიყენებული ზიანის რისკი მთლიანად ეკისრება მიმწოდებელს.

## 8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან **10 (ათი) სამუშაო დღის** განმავლობაში.

8.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

8.4. 8.2 პუნქტის შესრულებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 6.2 პუნქტში მითითებული განყოფილება.

8.5. ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება მის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით, შესაბამისად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის მომენტისათვის, ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან გამოუმუშავებელი თანხა რჩება შემსყიდველთან და იგი არ წარმოშობს რაიმე დამატებით ვალდებულებებს მხარეებს შორის.

## 9. ფასები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლში დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

9.2. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

9.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

9.4. პრეისკურანტში მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული, დასამატებელი შესყიდვის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3. მხარეებს უფლება აქვთ სახელშეკრულებო ღირებულების შეუცვლელად, შეთანხმების საფუძველზე (შესაბამისი დოკუმენტის გაფორმების გზით) ხელშეკრულებაში შეიტანონ ცვლილება და დაამატონ ისეთი მომსახურება, რომელიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული პრეისკურანტით. მომსახურების ფასი დადგინდება შემსყიდველთან წინასწარი შეთანხმებით მიმდინარე საბაზრო ღირებულების შესაბამისად.

## 11. უფლებების გადაცემა

11.1. მიმწოდებელს არ აქვს უფლება, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და არსებობის შემთხვევაში - ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის დაუბრუნებლობას.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.4. ფორს-მაჟორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის

13.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

13.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების **(გარდა შესრულების ვადის დარღვევისა)** შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა **ყოველ ჯერზე** ხელშეკრულების ღირებულების **1%**-ის ოდენობით.

13.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების, მათ შორის ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილებისათვის **ყოველ კონკრეტულ ფაქტზე** მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა **ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე** ხელშეკრულების ღირებულების **0.25%**-ის ოდენობით.

13.4. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების **5%-ის** ოდენობით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი **20%-ით** ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების ღირებულების **10%-ის** ოდენობით.

13.5. საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) ჩაბარებიდან ან/და ხელშეკრულების მე-2 პუნქტში მითითებულ ელექტონულ ფოსტაზე შეტყობინების გადაგზავნიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

## 14. სხვა პირობები

14.1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს სასამართლო.

14.2. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

14.3. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს აღნიშნული ხელშეკრულება თუ:

ა) გარდა მომსახურების გაწევის ვადების ან/და ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისთვის განსაზღვრული ვადების დარღვევისა, მიმწოდებლის მხრიდან დაფიქსირდება ხელშეკრულების სხვა ნებისმიერი პირობის დარღვევის 5 ან მეტი ფაქტი;

ბ) მიმწოდებლის მიერ 13.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოების ჯამური ოდენობა მიაღწევს 5%-ს;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

14.4. თუ რომელიმე მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ან არაჯეროვნად ასრულებს მათ, მეორე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, რაზედაც მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს **10 დღით ადრე.**

14.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.6. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.7. ეს ხელშეკრულება დადებულია ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაციის ველებში მოცემული პირობებისა და გამარჯვებული პრეტენდენტის (ამ ხელშეკრულებით – მიმწოდებლის) ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობების საფუძველზე.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შემსყიდველის მხრიდან:
ვახტანგ გენგიური

მიმწოდებლის მხრიდან:
ირაკლი გურჩიანი

Toyota Center Tbilisi LLC

Digitally signed by Toyota Center Tbilisi LLC
Date: 2020.06.15 10:54:55 +04'00'

პრეისკურანტი

## დანართი №1

### 2008 წელს წარმოებული "YAMAHA"-ს ფირმის "Cygnus RS" მოდელის სახმელეთო სკუტერი

| N | მომსახურების (დეტალის/სახარჯი მასალების გათვალისწინებით) დასახელება | განზ. ერთ. | გასაწევი მომსახურების ერთეულის მაქსიმალური ზღვრული ღირებულებები (ლარი) | პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული გასაწევი მომსახურების ერთეულის ღირებულებები (ლარი) | სათადარიგო ნაწილის ერთეულის მაქსიმალური ზღვრული ღირებულებები (ლარი) | პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული სათადარიგო ნაწილების ერთეულის ღირებულებები (ლარი) | საგარანტიო ვადა | საგარანტიო პირობები | მომსახურების განკვეთის ვადა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზეთი (4ტაქტიანი) 20W-40 Yamalube | ლიტრი | 10.00 | 10.00 | 25.00 | 25.00 | ყოველ 2000 კმ ზე | შეკეთება ან/ან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 2 | ვარიატორის რემანი | ცალი | 20.00 | 20.00 | 108.00 | 108.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება ან/ან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 3 | ჰაერის ფილტრი | ცალი | 10.00 | 10.00 | 36.00 | 36.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება ან/ან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 4 | სანთელი | ცალი | 10.00 | 10.00 | 20.00 | 20.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება ან/ან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 5 | ციმციმა | ცალი | 5.00 | 5.00 | 50.00 | 50.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება ან/ან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 6 | ხუნდი (წინა) | ცალი | 10.00 | 10.00 | 180.00 | 180.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება ან/ან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 7 | ხუნდი (უკანა) | ცალი | 20.00 | 20.00 | 108.00 | 108.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება ან/ან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 8 | სარკე (მარცხენა) | ცალი | 5.00 | 5.00 | 72.00 | 72.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება ან/ან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 9 | სარკე (მარჯვენა) | ცალი | 5.00 | 5.00 | 82.80 | 82.80 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება ან/ან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 10 | სანათი ფარი (წინა) | ცალი | 40.00 | 40.00 | 306.00 | 306.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება ან/ან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 11 | სანათი ფარი (უკანა სტოპი) | ცალი | 50.00 | 50.00 | 270.00 | 270.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება ან/ან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 12 | მუხრუჭის სახელური (მარცხენა) | ცალი | 10.00 | 10.00 | 18.00 | 18.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება ან/ან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 13 | მუხრუჭის სახელური (მარჯვენა) | ცალი | 10.00 | 10.00 | 18.00 | 18.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება ან/ან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 14 | ვარიატორი წამყვანი წინა | ცალი | 25.00 | 25.00 | 576.00 | 576.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება ან/ან ძეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 15 | ვარიატორი ამყოლი უკანა | ცალი | 25.00 | 25.00 | 1267.20 | 1267.20 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება ან/ან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 16 | საყრდენი (წინა ამორტი) | ცალი | 10.00 | 10.00 | 270.00 | 270.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება ან/ან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 17 | დისკი უკანა | ცალი | 30.00 | 30.00 | 1008.00 | 1008.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება ან/ან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 18 | დისკი წინა | ცალი | 20.00 | 20.00 | 774.00 | 774.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება ან/ან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 19 | მაგნიტო | ცალი | 50.00 | 50.00 | 468.00 | 468.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება ან/ან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 20 | იაკორი | ცალი | 50.00 | 50.00 | 558.00 | 558.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება ან/ან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 21 | სტარტერი | ცალი | 50.00 | 50.00 | 540.00 | 540.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება ან/ან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22 | სანდიმეტრის ტაბლო | ცალი | 40.00 | 40.00 | 360.00 | 360.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღემარაგის ჭონის შემთხვევაში) |
| 23 | დარეკვის რელე (ზარიადგის) | ცალი | 30.00 | 30.00 | 259.20 | 259.20 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღემარაგის ჭონის შემთხვევაში) |
| 24 | შუასადები (ვარიატორის) | ცალი | 20.00 | 20.00 | 72.00 | 72.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღემარაგის ჭონის შემთხვევაში) |
| 25 | ბეჭდაქში | ცალი | 50.00 | 50.00 | 252.00 | 252.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღემარაგის ჭონის შემთხვევაში) |
| 26 | ამორტიზატორი | ცალი | 20.00 | 20.00 | 216.00 | 216.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღემარაგის ჭონის შემთხვევაში) |
| 27 | ამორტიზატორი წინა ჯიპ. | ცალი | 80.00 | 80.00 | 1674.00 | 1674.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღემარაგის ჭონის შემთხვევაში) |
| 28 | ძრავი ჯიპლექტში | ცალი | 400.00 | 400.00 | 4320.00 | 4320.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 4 დღემარაგის ჭონის შემთხვევაში) |
| 29 | ხაკე ჯიპ. | ცალი | 40.00 | 40.00 | 439.20 | 439.20 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 2 დღემარაგის ჭონის შემთხვევაში) |
| 30 | ბაღური (ეგლუშიტული) | ცალი | 20.00 | 20.00 | 1746.00 | 1746.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღემარაგის ჭონის შემთხვევაში) |
| 31 | ბლახმახის სრული დაშლა აწყობა | ცალი | 120.00 | 120.00 | 0.00 | 0.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღემარაგის ჭონის შემთხვევაში) |
| 32 | ბლახმახის სრული ღებვა | ცალი | 260.00 | 260.00 | 0.00 | 0.00 | ——— | ——— | 10 დღემარაგის ჭონის შემთხვევაში) |
| 33 | ზეთის ბუჟი (კარტერი) | ცალი | 10.00 | 10.00 | 25.00 | 25.00 | ქარხნული წუნის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან მეცვლა ახლით | 4 დღემარაგის ჭონის შემთხვევაში) |
| 34 | ბლახმახის ალდგენითი სამუშაოები | ცალი | 300.00 | 300.00 | 0.00 | 0.00 | ——— | ——— | 10 დღემარაგის ჭონია შემოხვევაში) |
| | ჯამი (სავარაუდო ღირებულების): | | 1,855.00 | | 16,118.40 | | | | |
| | სულ ჯამი (სავარაუდო ღირებულების): | | | 17,973.40 | | | | | |
| | ჯამი (პრეტენდენტის შემოთავაზების): | | | 1,855.00 | | 16,118.40 | | | |
| | სულ ჯამი (პრეტენდენტის შემოთავაზების): | | | | 17,973.40 | | | | |

აუცილებელი პირობა:

_ სათადარიგო ნაწილების ჩამონათვალში იგულისხმება მათი შეცვლაც;
_ ნაწილის საზღვარგარეთ შეკვეთის შემთხვევაში მომსახურების გაწევის ვადა შეადგენს დეფექტური აქტის შედგენიდან არაუმეტეს 28 კალენდარული დღეს.

Toyota Center Tbilisi LLC

Digitally signed by Toyota Center Tbilisi LLC
Date: 2020.06.04 11:12:46 +04'00'

## 2010 წელს წარმოებული "YAMAHA"-ს ფირმის "FJR1300AP" მოდელის მოტოციკლი

| N | მომსახურების (დეტალის/სახარჯი მასალების გათვალისწინებით) დასახელება | გაზომ. ერთ. | გასაწევი მომსახურების ერთეულის მაქსიმალური ზღვრული ღირებულებები (ლარი) | პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული გასაწევი მომსახურების ერთეულის ღირებულებები (ლარი) | საათადარიგო ნაწილის ერთეულის მაქსიმალური ზღვრული ღირებულებები (ლარი) | პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საათადარიგო ნაწილების ერთეულის ღირებულებები (ლარი) | საგარანტიო ვადა | საგარანტიო პირობები | მომსახურების გაწევის ვადა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზეთი (4ტუტუკი) 20W-40 Yamalube | ლიტრი | 20.00 | 20.00 | 25.00 | 25.00 | ყოველ 3000 კმ-ზე | შეცვლა ადლილი | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 2 | ზეთის ფილტრი | ცალი | 25.00 | 25.00 | 45.00 | 45.00 | შესაბამისი საათიანობიდან გარანტიის მოხდვიდან | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 3 | სანთელი | ცალი | 30.00 | 30.00 | 20.00 | 20.00 | ქარხნული წესის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 2 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 4 | გადაცემათა კოლოფი კომპლ. | ცალი | 500.00 | 500.00 | 6930.00 | 6930.00 | ქარხნული წესის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 3 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 5 | ფრთა (წინა ორული) | ცალი | 20.00 | 20.00 | 665.00 | 665.00 | ქარხნული წესის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 6 | ამორტიზატორი უკანა | ცალი | 80.00 | 80.00 | 2340.00 | 2340.00 | ქარხნული წესის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 7 | ამორტიზატორი წინა | ცალი | 125.00 | 125.00 | 2106.00 | 2106.00 | ქარხნული წესის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 2 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 8 | წინა მაიაცნიკი ზედა | ცალი | 50.00 | 50.00 | 511.20 | 511.20 | ქარხნული წესის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 9 | წინა მაიაცნიკი ქვედა | ცალი | 125.00 | 125.00 | 1051.20 | 1051.20 | ქარხნული წესის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 2 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 10 | დისკი წინა | ცალი | 40.00 | 40.00 | 1872.00 | 1872.00 | ქარხნული წესის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 11 | ხაფანგი (წინა ამორი) კომპლ (2ცალი ერთად) | კომპ. | 40.00 | 40.00 | 990.00 | 990.00 | ქარხნული წესის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 12 | ხუნდა წინა კომპლ (2შკერა) | კომპ. | 40.00 | 40.00 | 464.40 | 464.40 | ქარხნული წესის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 13 | დისკი უკანა | ცალი | 40.00 | 40.00 | 2304.00 | 2304.00 | ქარხნული წესის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 14 | ხაფანგი (უკანა ამორი) | ცალი | 40.00 | 40.00 | 576.00 | 576.00 | ქარხნული წესის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 15 | ხუნდა უკანა | ცალი | 20.00 | 20.00 | 198.00 | 198.00 | ქარხნული წესის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 16 | ხახვლური მარჯვენა | ცალი | 40.00 | 40.00 | 450.00 | 450.00 | ქარხნული წესის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 17 | ხახვლური მარცხენა | ცალი | 40.00 | 40.00 | 432.00 | 432.00 | ქარხნული წესის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 18 | ხახვლური მუხრუჭის | ცალი | 20.00 | 20.00 | 216.00 | 216.00 | ქარხნული წესის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 19 | ხახვლური სალენინის | ცალი | 20.00 | 20.00 | 180.00 | 180.00 | ქარხნული წესის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 20 | სარკე მარჯვენა | ცალი | 10.00 | 10.00 | 432.00 | 432.00 | ქარხნული წესის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 21 | სარკე მარცხენა | ცალი | 10.00 | 10.00 | 432.00 | 432.00 | ქარხნული წესის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 1 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 22 | ჩაქარე ფინა (წინა) | ცალი | 40.00 | 40.00 | 756.00 | 756.00 | ქარხნული წესის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 2 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |
| 23 | მაგნეტი | ცალი | 80.00 | 80.00 | 1335.60 | 1335.60 | ქარხნული წესის შემთხვევაში 3 თვე | შეკეთება დან შეცვლა ახლით | 2 დღე(მარაგის ქონის შემთხვევაში) |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24 | საკერი | ცალი | 80.00 | 80.00 | 954.00 | 954.00 | ქარხნული წესი: ზემოხვევაში 3 თვე | შეკეთება დაან მუდელ ახლით | 2 დღე(ნორგის ქონის ზემოხვევაში) |
| 25 | სტარტერი | ცალი | 50.00 | 50.00 | 1260.00 | 1260.00 | ქარხნული წესი: ზემოხვევაში 3 თვე | შეკეთება დაან მუდელ ახლით | 2 დღე(ნორგის ქონის ზემოხვევაში) |
| 26 | ფარი(წინა) | ცალი | 50.00 | 50.00 | 2772.00 | 2772.00 | ქარხნული წესი: ზემოხვევაში 3 თვე | შეკეთება დაან მუდელ ახლით | 2 დღე(ნორგის ქონის ზემოხვევაში) |
| 27 | ხაფური | ცალი | 20.00 | 20.00 | 126.00 | 126.00 | ქარხნული წესი: ზემოხვევაში 3 თვე | შეკეთება დაან მუდელ ახლით | 1 დღე(ნორგის ქონის ზემოხვევაში) |
| 28 | სტრიბი უკანა | ცალი | 40.00 | 40.00 | 741.60 | 741.60 | ქარხნული წესი: ზემოხვევაში 3 თვე | შეკეთება დაან მუდელ ახლით | 1 დღე(ნორგის ქონის ზემოხვევაში) |
| 29 | ჰაერის ფილტრი | ცალი | 20.00 | 20.00 | 151.20 | 151.20 | ქარხნული წესი: ზემოხვევაში 3 თვე | შეკეთება დაან მუდელ ახლით | 1 დღე(ნორგის ქონის ზემოხვევაში) |
